ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2019 წლის 28 მარტი

ქ. ახალქალაქი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები (დანართი №1).

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 იანვრის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ №1 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 01/02/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.141.016276).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ნაირი ირიციან

დანართი №1

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა ,თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება

№	რანგი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	3200
2		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	1920
3		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1350
4		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	8	1350
5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	9	1000
		საკრებულოს აპარატი		
1	I რანგი	დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი	1	1500

2	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული საკითხებში	1	850
3	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ საქმისწარმოების საკითხებში	1	850
4	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ საქმისწარმოების საკითხებში და თარგმნის საკითხებში	1	850
საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება				
5	II **<u>რანგი</u>**	საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1300
6	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850
7	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850
საორგანიზაციო განყოფილება				
8	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1300
9	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850
10	III რანგი	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	850